

ნატალია ფომინიხი

ყირიმის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

შემსწავლელის ავტონომიის განვითარება ენის კომპიუტერზე ორიენტირებული შესწავლის გარემოში (CALLE)

აბსტრაქტი

სტატია ეხება ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას, რომელიც გულისხმობს ენის შესწავლის პროცესში პასუხისმგებლობის მასწავლებლიდან მოსწავლეზე გადატანის საკითხს. ავტორი წარმოადგენს ენის ავტონომიური შესწავლის საფუძველსა და მდიდარ მასალას, აღწერს კომპიუტერზე ორიენტირებულ გარემოში ენის შესწავლის პროცესს, ხაზს უსვამს თვითშეღწევადი ენის ცენტრის (SALC) არსს. ცენტრი შექმნილია მომავალი IT სპეციალისტებისათვის ენის სწავლების მიზნით, როგორც კომპიუტერზე ორიენტირებული გარემო.

საკვანძო სიტყვები: ენის ავტონომიური შესწავლა; ენის კომპიუტერზე ორიენტირებული შესწავლა; თვითშეღწევადი ენის ცენტრი.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში შემსწავლელის ავტონომიისა და დამოუკიდებლობის ცნებები სულ უფრო იმკვიდრებს ადგილს და ძველი დამოკიდებულება ენის სწავლის პროცესში სიტყვის მასალად რჩება. რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობის მასწავლებლიდან შემსწავლელზე გადატანა სასწავლო კურიკულუმის (შემსწავლელზე ორიენტირებული მიდგომით) შეცვლის შედეგია. უფრო მეტიც, მასწავლებლისა და შემსწავლელის როლების შეცვლა გახდა რადიკალური ცვლილებების საფუძველი საკლასო მოწყობასა და კლასში ავტორიტეტისა და გავლენის გადანაწილებაში. მაგარამ უკრაინის საგანმანათლებლო სივრცეში ჯერ კიდევ პრობლემად რჩება ავტონომიური სწავლის ორგანიზებისათვის საჭირო საშუალებებისა და გარემოს შექმნა. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზანია რამდენიმე მოსაზრების წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ენის თვითშესწავლის იდეის დანერგვა.

პირველი შეკითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს შემდეგია: რას ნიშნავს ავტონომია? ავტონომიის დეფინიციისათვის დავესესხებით ჰოლგეს [1981, ციტირებულია პინტრიჩის მიერ 1994, გვ. 1], რომელიც აღწერს ავტონომიას, როგორც შესაძლებლობას, იყო პასუხისმგებელი ვინმეს სწავლაზე. ზოგადად, ტერმინი ავტონომია შეიძლება შემდეგნაირად გამოვიყენოთ [პინტრიჩი, 1994, გვ. 2]:

- როდესაც შემსწავლელი სწავლობს თვითონ, სხვების დახმარების გარეშე;
- უნარები, რომელთა დაუფლება და გამოყენებაც შესაძლებელია დამოუკიდებლად;
- თანდაყოლილი შესაძლებლობები, რომლებიც იზღუდება ინსტიტუციური განათლებით;
- შემსწავლელის პასუხისმგებლობის გამომუშავება დამოუკიდებელი სწავლისას;
- შემსწავლელის უფლება, დამოუკიდებლად შეარჩიოს სწავლის მიმართულება და შესაბამისად წარმართოს იგი.

ავტონომია შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგი სიტყვებით: განათლებიდან, როგორც სოციალური პროცესიდან გამოსვლა, აგრეთვე სწავლის პროცესში ძალაუფლების გადანაწილება ცოდნის კონსტრუქციისა და მონაწილეთა როლების გათვალისწინებით.

რაც არ უნდა იყოს, ავტონომიურ შემსწავლელს აქვს აქტიური როლი სწავლის პროცესში, ის განაზოგადებს იდეებს, განუსაზღვრავს თავს სწავლის შესაძლებლობებს. ეს უფრო მეტია, ვიდრე მასწავლებლის სხვადასხვა დირექტივებზე რეაგირება. ეს იდეა ძალიან ახლოს დგას კონსტრუქტივიზმთან, რომლის მიხედვითაც ავტონომიური შემსწავლელი არის მნიშვნელობის თავად, დამოუკიდებლად მათქმეველი, აქტიური მონაწილე, მოქმედი, აგენტი საკუთარი სწავლის პროცესში. ის არ არის ის, ვისთვისაც მოვლენები დამოუკიდებლად ვითარდება. ის არის ის, ვისი საკუთარი ნებითაც ხდება ესა თუ ის მოვლენა, ვინც იწვევს ამას. სწავლა განიხილება როგორც შედეგი სამყაროსთან მის მიერ ინიცირებული ინტერაქციისა.

ამგვარი მიდგომის ფარგლებში, სწავლა არ არის მხოლოდ მექანიკური დამახსოვრების პროცესი. ეს არის კონსტრუქციული პროცესი, რომელიც მოიცავს მოვლენებში მნიშვნელობების აქტიურ ძიებას (ან თუნდაც მნიშვნელობების მისადაგებას). ეს ნიშნავს იმას, რომ თითოეული შემსწავლელი თავად აგებს თავისი ცოდნის სისტემას, ირჩევს საკუთარ სტრატეგიებს და სახავს თავისი სწავლის ტრაექტორიას.

ლესლი პ. სტიფის [ლესლი პ. სტიფი, 1995] მიხედვით, კონსტრუქტივიზმი განათლებაში არის პერსპექტივა, რომელიც ხსნის, თუ როგორ არის კონსტრუირებული ცოდნა ადამიანში, როცა შემოსულ ინფორმაციას ხვდება მიღებული გამოცდილების საფუძველზე არსებული ცოდნა. ეს ფესვებს იღებს კოგნიტური ფსიქოლოგიიდან და ბიოლოგიიდან, აგრეთვე განათლებაში არსებული მიდგომიდან, რომლის მიხედვითაც ძირითადი აქცენტი კეთდება ცოდნის შექმნაზე სამყაროსთან მიმართების ადაპტირების გზით. აღმოჩენები, მოქმედებითი, კოლაბორაციული, პროექტზე დაფუძნებული და პრობლემაზე ორიენტირებული სწავლა არის ის ასპექტები, რომლებიც აყალიბებს სწავლასა და სწავლებას კონსტრუქტივიზმში.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწავლა კონსტრუქტივიზმის საფუძველზე არ ნიშნავს ფაქტებისა და წესების დამახსოვრებას, არამედ მიზნად ისახავს საკუთარი ცოდნის რეორგანიზებასა და რეკონსტრუირებას ახალი გამოცდილების მიღების გზით. აქედან გამომდინარე, კონსტრუქტივიზმი ცვლის პასიურს აქტიურით: ცოდნა არ შეიძლება ისწავლებოდეს, ის შეიძლება მხოლოდ

შესწავლილ იქნეს. შესაბამისად, ენის სწავლა არ შეიძლება გავიაზროთ, როგორც წესების, სტრუქტურებისა და ფორმების ათვისება. თითოეული შემსწავლელი იღებს თავის გამოცდილებას, სამყაროს შესახებ ცოდნას და დებს მას ახალ სამიზნე ენაში. როგორც ჩანს, კონსტრუქტივიზმი მხარს უჭერს ავტონომიის ფსიქოლოგიურ ვერსიებს, რომლებსაც მიეკუთვნება შემსწავლელის ქცევა, დამოკიდებულება, მოტივაცია და თვითგააზრება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის ასევე მასწავლებლისა და შემსწავლელის როლების შეცვლის განხილვა. მასწავლებელი არ არის ლექსიკონი, მასწავლებელი არ არის ენციკლოპედია ან წაკითხული ინფორმაციის მიღების წყარო. მასწავლებელი არის დამხმარე ან ფასილიტატორი, რომელიც ხელს უწყობს შემსწავლელის ავტონომიას, უღვივებს მას თვით სწავლისა და თვით კონტროლის უნარებს. ამდენად, კიდევ ერთი ცვლილებაა მოცემულ პარადიგმაში - მასწავლებლისეულ კონტროლს ენაცვლება შემსწავლელისეული კონტროლი.

სამეცნიერო ნაშრომების ანალიზის საფუძველზე [პინტრიჩი, 1994; შუნკი, 2005] ჩვენ გამოვყავით ავტონომიური შემსწავლელის რამდენიმე მახასიათებელი:

- დამოუკიდებელი/ავტონომიურ შემსწავლელებს აქვთ სწავლის სტილისა და სტრატეგიების საკუთარი ხედვა;
- სწავლის ამოცანების აქტიური მიდგომების გამომუშავება;
- რისკისადმი მზაობა, სამიზნე ენასთან დაკავშირებული ყველა სირთულის მიღება;
- ამოცნობის უნარი;
- ფორმისა და შინაარსის მიღება; მნიშვნელობისა და პრიორიტეტულობის მიხედვით დალაგება;
- სამიზნე ენის განვითარება სხვადასხვა დამოუკიდებელ რეფერენციულ სისტემებში; გადახედვა, გამოუყენებელი ჰიპოთეზებისა და წესების უარყოფა;
- სამიზნე ენისადმი ტოლერანტული და გამორჩეული მიდგომა.

შემდეგი საკითხი, რომელზეც უნდა ვიმსჯელოთ, გულისხმობს ენის ავტონომიური შესწავლის პირობებს. უპირველეს ყოვლისა, ნათელი უნდა იყოს ის, რომ ავტონომიური შემსწავლელი არ არის მზა პროდუქტის შემქმნელი ან პერსონალური მახასიათებელი. დამოუკიდებელია შემსწავლელი მაშინ, როცა დაკმაყოფილებულია რამდენიმე პირობა. კერძოდ, შემსწავლელის მხრიდან კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგიები, მოტივაცია, დამოკიდებულება და ენის შესწავლის შესახებ ცოდნა. ამდენად, მასწავლებლებმა უნდა შევიაზროთ ჩვენი სტუდენტები ენის სწავლის სტრატეგიებით. შესაბამისად, უნდა შევქმნათ ენის სწავლის სათანადო განსაკუთრებული გარემო, სადაც თითოეულ შემსწავლელს შეეძლება ისწავლოს თავისი ტემპით, აირჩიოს თავისი სტრატეგია და სტილი, განსაზღვროს თავისი პრობლემა, სასწავლო მასალა, თავისი პრიორიტეტები. მაგრამ ამგვარი გარემოს შექმნა არ არის ერთი დღის საქმე და პრობლემა, ამგვარი გარემო არის ცოცხალი ორგანიზმი, რომლის არსებობაც მუდმივად უნდა წესრიგდებოდეს სწავლის პროცესში ჩართული ყველა მონაწილის მიერ. და ცხადია, რომ ამგვარი გარემო შეიძლება შეიქმნას მხოლოდ

თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინფორმატიკის გამოყენებით, ამგვარი გარემო მუდმივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინტერნეტის მეშვეობით.

ჩვენს უნივერსიტეტში იყო მცდელობა, შექმნილიყო კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული ენის სასწავლო გარემო (CALLE). ამგვარი გარემოს კომპონენტებია: ვებგვერდი „როგორ ვასწავლოთ ინგლისური ტექნოლოგიების მეშვეობით“ (<http://shvidko172.narod2.ru>), მეთოდოლოგიური ინგლისურენოვანი ონლაინგაზეთი (EOL: <http://sites.google.com/site/eolnewspaper/>), საკითხავი ინგლისური ონლაინბლოგი (<http://readingenglishonlineblog.blogspot.com>) და თვითწვდომადი ცენტრი (SALC: <https://sites.google.com/site/selfaccesslanguagecente/>).

ცენტრის მიზანია ინგლისურის, როგორც მეორე ენის, შემსწავლელთა უზრუნველყოფა ონლაინმასალით, აგრეთვე სტუდენტების ხელშეწყობა, რათა მათ გამოიყენონ სწავლის სტრატეგიები, ენა, მოსასმენი თუ საკითხავი მასალა და ლაპარაკის უნარები, ისევე, როგორც პრეზენტაციის უნარები და ბევრი სხვა რამ, რაც საუნივერსიტეტო წარმატების საფუძველი შეიძლება გახდეს.

ცენტრის შექმნისას ჩვენ ვცდილობდით, მხედველობაში მიგვეღო სწავლის ისეთი სტრატეგიები (ჩვენ განვიხილავდით სწავლის სტრატეგიებს, როგორც ზოგად გეგმას, რომელსაც აყალიბებს შემსწავლელი, რათა მიაღწიოს დისტანციურ აკადემიურ წარმატებას. ის განსაზღვრავს, თუ რა, სად და როგორ უნდა გაკეთდეს წარმატების მისაღწევად), როგორებიცაა კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგიები, ანალიზი, დაგეგმვა, შემსწავლელის დამოკიდებულება, მოტივაცია და თვითშეფასება. მოდით, დეტალურად განვიხილოთ ყველა ეს სტრატეგია და მათი რეალიზაციის გზები ცენტრში (CALLE).

მაშასადამე, კოგნიტური სტრატეგიები უშუალოდ ზემოქმედებს მიღებულ ინფორმაციაზე და ხელს უწყობს სწავლის პროცესის განვითარებას. ენის სწავლის კოგნიტურ სტრატეგიებში ჩვენ გამოვყოფთ:

- გამეორება, სხვათა მეტყველების იმიტირება;
- გამეორება, როცა ხდება სხვების მეტყველების იმიტირება;
- წყაროების, ლექსიკონებისა და სხვა მასალის გამოყენება;
- თარგმანი, მშობლიური ენის გამოყენება სამიზნე ენაზე გაუგებარი მასალის გასააზრებლად;
- ჩანაწერების გაკეთება;
- დედუქცია, მეორე ენის წესების გააზრებული გამოყენება;
- კონტექსტუალიზაცია, სიტყვის ან ფრაზის აზრის მქონე თანმიმდევრობით წარმოდგენა;
- ტრანსფერი, პირველ ენაზე აუცილებელი ცოდნის გამოყენება მეორე ენაზე ფაქტებისა და მოვლენების გასაგებად და დასამახსოვრებლად;
- დასკვნა, კონტექსტის გასწვრივ უცნობი სიტყვის მონიშვნა (ახალი სიტყვის სწავლა);
- რაიმეს გაგების მიზნით მასწავლებლისათვის შეკითხვის დასმა.

რაც შეეხება მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს (ცოდნა, რომელიც მოიცავს შემსწავლელისათვის აუცილებელ ყველა ფაქტს, სხვადასხვა ვითარებაში ცოდნისა და აუცილებელი უნარების მიღება), ეს

არის უნარები, რომლებიც გამოიყენება დაგეგმვის, მონიტორინგისა და შემსწავლელის აქტივობების შეფასებისათვის. მაშასადამე, მეტაკოგნიტური სტრატეგიები არის უფრო სწავლის შესახებ, ვიდრე საკუთრივ სწავლის სტრატეგიები. მეტაკოგნიტური სტრატეგიებია, მაგალითად:

- პირდაპირი ყურადღება: ყურადღების გამახვილება ამოცანის ზოგად ასპექტებზე;
- შერჩევითი ყურადღება: ყურადღების გამახვილება ამოცანის სპეციფიკურ ასპექტებზე;
- თვითშეფასება: საკუთარი ნაშრომის, პრეზენტაციის შეფასება საკუთარი სტანდარტების მიხედვით;
- წინასწარი დაგეგმვა: მიზნებისა და მათი განხორციელების გზების განსაზღვრა, იდენტიფიცირება;
- დაგეგმვა პროცესში: მიზნების შეცვლა;
- თვითმონიტორინგი: საკუთარი თავისთვის შემდეგი შეკითხვების დასმა: „როგორ ვაკეთებ?“ „მაქვს სირთულეები ამ ამოცანის გადაწყვეტისას?“
- **თვითგანმტკიცება:** წარმატებისათვის თავის დაჯილდოება.

შემსწავლელის დამოკიდებულებისა და მოტივაციიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ ენის სწავლა არ არის მხოლოდ კოგნიტური ამოცანა. ენის წარმატებული სწავლა დამოკიდებულია შემსწავლელის შინაგან მახასიათებლებზე, სამყაროსადმი ზოგად დამოკიდებულებასა და შემსწავლელის აქტივობებზე, მის სურვილზე, ისწავლოს. შემსწავლელის დამოკიდებულება და სამოტივაციო სტრატეგიები ენის შესწავლაში საკვანძო როლს თამაშობს. ამდენად, მასწავლებლის მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყოს სტუდენტებს, შეაფასოს და მოტივაცია გაუღვივოს მათ, შექმნას ყველასათვის კომფორტული ატმოსფერო. ამის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მოტივაციაზე, რაც, ჩვენი აზრით, გულისხმობს მიზნის მიღწევის სურვილს, ამისათვის ყველაფრის გაკეთების მზაობას და ამოცანის გადაჭრით დაკმაყოფილებას.

დამოკიდებულებასა და მოტივაციასთან ახლოს დგას თვითშეფასებაც. ეს არის შემსწავლელის მიერ საკუთარი თავის შეფასება სამიზნე ენაში გადაჭრილი სირთულეების მიხედვით. თვითშეფასება - ეს არის განაჩენი, რომელიც საკუთარი თავისთვის გამოაქვს შემსწავლელს.

CALLE-ის მიხედვით ზოგადად და SALC-ის მიხედვით კონკრეტულად - შემოთავაზებულია მრავალფეროვანი ამოცანები, აქტივობები, სავარჯიშოები, რომლებიც ეფუძნება ენის შესწავლას, პროექტებზე მუშაობას, სირთულეების დაძლევას, შემთხვევის ანალიზს და ა. შ.

ზემოთ მოყვანილი იდეიდან გამომდინარე, ჩვენ გამოვკვეთეთ რამდენიმე ხერხი, რომლებიც ხელს შეუწყობს შემსწავლელის ავტონომიის განვითარებას. უპირველეს ყოვლისა, შემსწავლელის ავტონომიის ხელშეწყობისათვის აცილებელია საკუთარი თავის შემაფასებელი ანგარიშის დაწერა. ამისათვის ყველა სტუდენტი ქმნის ინგლისური ენის ბლოგს და ყოველ კვირას ისინი აკეთებენ SWOT ანალიზს და წერენ ანგარიშს. შემდეგ მათ უნდა დაწერონ თავიანთი მოსაზრებები მასწავლებლის სულ მცირე ორი კვირის ანგარიშის შესახებ და უპასუხონ თავიანთი ბლოგის ყველა კომენტარს. ჩვენი აზრით, ეს კარგი საშუალებაა, რათა მივიღოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ დაძლია სტუდენტმა ესა თუ ის ამოცანა. ამით დავეხმარებით სტუდენტს, გაიაზროს თავისი

სტრატეგიები, შექმნას ანგარიში იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს ამა თუ იმ ამოცანის გადაჭრის დროს. ამგვარ თვითშეფასების ანგარიშს ვუწოდებთ ჩვენ ინტროსპექტულს, რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტი აანალიზებს თავის სამუშაოს და პროგრესს ამოცანის გადაჭრის პროცესში.

მეორე ტიპის თვითშეფასების ანგარიშს ვუწოდებთ ჩვენ რეტროსპექტულს, რადგან ამ შემთხვევაში შემსწავლელს ვთხოვთ, უკან დაბრუნდეს და რეტროსპექტულად გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი. რეტროსპექტული თვითშეფასების ანგარიში, როგორც წესი, ღიაა და დაუსრულებელი, სტუდენტი არ არის შეზღუდული იმაში, თუ რას წერს, რა პასუხს სცემს დასმულ შეკითხვას, კომენტარს ან, ზოგადად, როგორ ეხმიანება წამოჭრილ სადისკუსიო საკითხს. არსებობს ორი სახის რეტროსპექტული თვითშეფასების ანგარიში: ნაწილობრივ სტრუქტურირებული ინტერვიუ და სტრუქტურირებული კითხვარი. ნაწილობრივ სტრუქტურირებული ინტერვიუ შეიძლება იყოს ფოკუსირებული სპეციფიკურ უნარებზე, რომლებიც გულისხმობს ინფორმაციის მიღებას შემსწავლელის გრძნობის შესახებ (კითხვის, მოსმენის და ა. შ. მეშვეობით), პრობლემის პირისპირ დგომას, ამ პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებას, შემსწავლელის მიერ იმ ოპტიმალური სტრატეგიების ხედვას, რომლებიც მიემართება სწავლის ამოცანებს. სტრუქტურირებული კითხვარი ორიენტირებულია იმავე ინფორმაციაზე, ოღონდ განსხვავებული გზით: კითვარი შედგენილია ექსპლიციტური კითხვებისა და დებულებების მეშვეობით. შემსწავლელს მოეთხოვება დაეთანხმოს მათ ან უარყოს ისინი, დაწეროს, მართალია თუ მცდარი და ა. შ. ჩვენს ცენტრში ფართოდ ვიყენებთ ორივე მეთოდს - ვებგვერდზე წარმოდგენილ აქტივობებს და ბლოგს.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ შემსწავლელის ავტონომიის განვითარება ხანგრძლივი პროცესი და რთული ამოცანაა როგორც მასწავლებლისათვის, ისე სტუდენტისთვის. პრობლემის გადაჭრის პროცესში საჭიროა ბევრი ახალი მცდელობა, უმეტესად კომუნიკაციური და ინფორმაციული ტექნოლოგიების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ენის ეფექტური სწავლების მიზნით უნდა შეიქმნას და განვითარდეს ძლიერი და გავლენიანი გარემო.

წყაროები:

1. Dudeney G. How to Teach English with Technology / Gavin Dudeney, Nicky Hockly. – Pearson Longman, 2008. – 192 p.
2. Fullan M., Hargreaves A. (eds.) Teacher Development and Educational Change / M. Fullan, A. Hargreaves. – New York : Falmer Press, 1992. – 235 p.
3. Pintrich, P. R., Roeser, R. W., & de Groot, E. A. M. (1994). Classroom and individual differences in early

4. adolescents' motivation and self-regulated learning. *The Journal of Early Adolescence*, 14(2), p. 139–161.
5. Schunk, D. H. (2005). Self-regulated learning: The educational legacy of Paul R. Pintrich. *Educational Psychologist*, 40(2), p. 85–94.
6. Spratt Mary. *The TKT Course / Mary Spratt, Alan Pulverness, Melanie Williams*. – Cambridge University Press, 2005. – 188 p.
7. Starr P. *Computing Our Way to Educational Reform / P. Starr // The American Prospect*. – 1996. – № 27. – P. 50–60.
8. Steffe Leslie P. *Constructivism in Education*. – Lawrence Erlbaum Associates, 1995. – 600 p.
9. Toffler A. *The Third Wave / A. Toffler*. – New York, 1980. – 25 p.
10. Wright M. *Science, Computers and Education / Molly Wright*. – London : Harper Education Series, 1985. – 120 p.